საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

ირაკლი ფაღავას N6
0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

07 ივლ 2025 წ.

KA000040064477425

№ **25/5378**

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს"
დირექტორს
ვლადიმერ ტატიშვილს

ზოგადი წინადადება

დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–14[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ბატონო ვლადიმერ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარეობს საქმისწარმოება (საქმე N692/25) ჟურნალისტ [redacted] მიმართ შესაძლო ჰომოფობიური შინაარსის განცხადების გავრცელების თაობაზე. მხარის ინტერესებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ა(ა)იპ ,,თანასწორობის მოძრაობის“ იურისტი, [redacted] წარმოადგენს.[1]

1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

ა(ა)იპ ,,თანასწორობის მოძრაობის'' მიერ სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი განცხადებით, 2025 წლის 14 იანვარს, სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეომასალა,[2] სადაც ისმის, რომ სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს“ გადაცემა ,,მთავარის“ პირდაპირ ეთერში, ***წამყვანმა,*** [redacted] ***ჟურნალისტ*** [redacted] ***მიმართ*** ჰომოფობიური განცხადება გააკეთა; კერძოდ, ჟურნალისტმა [redacted] პირდაპირ ეთერში წაიკითხა [redacted] მიერ სოციალურ ქსელ ,,ფეისბუქში'' მის მიმართ დაწერილი კრიტიკული პოსტი და განმცხადებლის მიმართ გამოიყენა

სიძულვილის ენა, კერძოდ, 2-ჯერ უწოდა „პიდარასტი“. განმცხადებლის მოსაზრებით, აღნიშნული ქმედება და ჟურნალისტის მიერ ჰომოფობიური ტერმინოლოგიის გამოყენება მაუწყებლის ეთერში, რომელსაც დიდი აუდიტორია ჰყავს, ხელს უწყობს ქვეყანაში სიძულვილის ენის გაღვივებას და ზრდის სხვა ადამიანების მხრიდან კონკრეტულ პირზე თავდასხმის საფრთხეს. ამავდროულად, განმცხადებლის პოზიციით, მაუწყებელს უნდა გამოეყენებინა ქმედითი და დროული სამართლებრივი მექანიზმები შემთხვევაზე მოკვლევის მიზნით და გაეტარებინა საჭირო სამართლებრივი ზომები, რათა მომავალში საფრთხე არ შექმნოდა კონკრეტული პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

[redacted] 2025 წლის 24 იანვარს, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას და რადიოს“ წარუდგინა საჩივარი,[3] სადაც უთითებდა, რომ ***განსახილველ შემთხვევაში დაირღვა მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და ადგილი ჰქონდა ჟურნალისტის მიერ შესაბამისი ეთიკური ნორმების ხელყოფის ფაქტს, რის გამოც, განმცხადებელი მაუწყებლის მხრიდან ითხოვდა სათანადო შიდა სამართლებრივი მოკვლევის განხორციელებას.*** [redacted] წარდგენილ საჩივარში ასევე აღნიშნავდა, რომ ***მაუწყებლის მიერ საზოგადოებისადმი მიმართული განცხადება ბოდიშის[4], მოხდასთან დაკავშირებით, ვერ გახდებოდა მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, როგორც დარღვეული უფლების საპირწონე ქმედება. ამავდროულად, განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მაუწყებელმა განცხადება წერილობით ფორმით გააკეთა, ხოლო მის მიმართ ჰომოფობიური შინაარსის შემცველი განცხადება „ჟურნალისტმა გააკეთა პირდაპირ ეთერში, რომელსაც ათასობით ადამიანი უსმენდა და უყურებდა“.*** დამატებით, განმცხადებელი წარდგენილ საჩივარში არ ეთანხმებოდა მაუწყებლის პოზიციას, რომლის თანახმადაც, პირდაპირ ეთერში შემთხვევით მოხვდა ჟურნალისტ [redacted] ჰომოფობიური შინაარსის განაცხადი; [redacted] მიიჩნევდა, რომ კონკრეტული შემთხვევა უკავშირდებოდა მის მიერ, 2025 წლის 14 იანვარს, 20:28 სთ-ზე სოციალურ ქსელ „ფეისბუქში'' საზოგადოებრივი მაუწყებლის/[redacted] კრიტიკული შინაარსის შემცველი პოსტის გამოქვეყნებას. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს“ მხრიდან განმცხადებელს ***უარი ეთქვა საჩივრის განხილვაზე.***

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, შემთხვევა 2025 წლის 14 იანვარს მოხდა, პირდაპირ ეთერში მოვლენების გაშუქების დროს (20:51 – 20:53 საათებს შუალედში).[5] მოპასუხის[6] განმარტებით, პირდაპირ ეთერში მომხდარ „ინციდენტთან''[7] დაკავშირებით მაუწყებელმა დაუყოვნებლივ საჯაროდ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომლის ფარგლებში, გაემიჯნა ჰომოფობიის ნებისმიერი ფორმით გამოვლინებას და მოიხადა ბოდიში; მაუწყებლის განცხადება ხელმისაწვდომი იყო ფართო საზოგადოებისათვის. რაც შეეხება [redacted] მიერ მაუწყებელში წარდგენილი საჩივრის განხილვაზე უარს, მოპასუხის განმარტებით, აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ ჟურნალისტის მიერ განმცხადებლის მიმართ დისკრიმინაციული მოსაზრების დაფიქსირებას [როგორც მოპასუხე უწოდებს, „ინციდენტს''] ადგილი ჰქონდა მაუწყებლის მიერ პირდაპირ ეთერში მოვლენების გაშუქების პროცესში და არა უშუალოდ მაუწყებლის გადაცემა „მთავარის“ მიმდინარეობის დროს, რის გამოც, ***მაუწყებლის პოზიციით, განმცხადებლის მოთხოვნა განუხილველი დარჩა.***

განმცხადებლის მიერ სახალხო დამცველის აპარატში დამატებით წარმოდგენილი პოზიციის[8] მიხედვით, მაუწყებელს ჰქონდა ვალდებულება, *არ შემოფარგლულიყო მხოლოდ ზოგადი განცხადებით და რეალურად განეხორციელებინა არსებითი ხასიათის ღონისძიებები,* [redacted] *როგორც უფლებადარღვეული პირის კანონიერი ინტერესის დაცვის მიზნით, ისე, ჟურნალისტთან მიმართებით, რომელმაც პირდაპირ ეთერში გამოიყენა სიძულვილის ენა და გააკეთა ჰომოფობიური განცხადება კონკრეტული პირის მიმართ. განმცხადებლის თანახმად, მოპასუხის პოზიცია ვერ აკმაყოფილებს იმ სტანდარტებს, რომელიც დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ტელევიზიას მოეთხოვება.* განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ტელევიზია არ უნდა ემსახურებოდეს სიძულვილის პროპაგანდას, ხოლო *მსგავსი ინციდენტების შემთხვევაში, აუცილებლად გადადგას რეალური და ქმედითი ნაბიჯები, რადგან ჰომოჰობიური გარემოს წახალისება საფრთხეს უქმნის კონკრეტული ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.*

ამავდროულად, საქმეზე ობიექტური და სრულყოფილი მოკვლევის განხორციელების მიზნით, აპარატმა მოითხოვა ჟურნალისტ [redacted] წერილობითი ახსნა-განმარტება.[9] სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს“ ინფორმაციით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მოთხოვნის შესახებ ეცნობა [redacted] თუმცა, წერილობითი ახსნა-განმარტების წარმოდგენისგან ჟურნალისტმა თავი შეიკავა.[10] მოპასუხის დამატებითი განმარტებით, ჟურნალისტ [redacted] მხრიდან პოზიციის დაფიქსირებაზე უარის თქმა წარმოადგენს მის პირად გადაწყვეტილებას, რომელიც ეფუძნება საკუთარ შეფასებებსა და შეხედულებებს.[11] შესაბამისად, აპარატს არ მოწოდებია პირის ახსნა-განმარტება შესაძლო დისკრიმინაციის წამახალისებელი ქმედების შესახებ.

*დამატებით, **მოპასუხის პოზიციით,** შემთხვევაზე მაუწყებლის მხრიდან განხორციელებული ღონისძიებები ეფექტურად პასუხობს არსებულ გამოწვევებს და ქმნის გარემოს, რომელიც მაღალი პროფესიული და ეთიკური სტანდარტების პრაქტიკაში რეალიზების პარალელურად უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას.*[12]

მოცემულ საკითხზე, **განმცხადებლის დამატებითი მომართვის თანახმად,** [redacted] *მიერ პოზიციის*

დაფიქსირებაზე უარის თქმა, ნათლად უსვამს ხაზს, მის დამოკიდებულებას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. [redacted] ინციდენტის შემდგომ, არცერთი პლატფორმის მეშვეობით არ გამოუხატავს საკუთარი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა მას რეალურად შეეძლო ბოდიშის მოხდა, როგორც სატელევიზიო ეთერით, ასევე, სხვადასხვა სოციალური პლატფორმების მეშვეობით, რაც მან არ გააკეთა".[13]

რაც შეეხება დისკრიმინაციის წახალისების და ჰომოფობიის აღმოფხვრის მიმართულებით განხორციელებულ ქმედებებს, მოპასუხის განმარტებით, მაუწყებლის თანამშრომელთა **ცნობიერების ამაღლებისა და პრევენციულ ღონისძიებათა გატარების სფეროში,** უზრუნველყო თანამშრომელთა ინფორმირებულობის გაზრდა, მომავალში მსგავსი შემთხვევების პრევენციის მიზნით.[14] თუმცა, განმცხადებლის დამატებითი პოზიციით, მოპასუხის მიერ წარდგენილი ინფორმაცია არ არის საკმარისი იმის დასადგენად, მაუწყებელმა, დროის მოკლე პერიოდში, კონკრეტულად რა სახის ღონისძიებები ჩაატარა და როგორ შეფასდა რეალურად გაიზარდა თუ არა თანამშრომელთა ცნობიერება ამ კუთხით.[15]

2. სამართლებრივი შეფასება

2.1. ზოგადი წინადადების გაცემის სამართლებრივი საფუძველი

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელიც შეისწავლის დისკრიმინაციის კონკრეტულ ფაქტებს და გამოსცემს რეკომენდაციებს ან ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღდეგ ბრძოლის საკითხებზე. ამავე კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ყველა ქმედებებზე ყველა სფეროში, თუ ეს ქმედებები არ რეგულირდება სხვა სამართლებრივი აქტით.

როგორც „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონი ადგენს,[16] *საქართველოს სახალხო დამცველი ზოგად წინადადებას გამოსცემს იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს დისკრიმინაციის წახალისებას, უარყოფითი სტერეოტიპების და სტიგმის გაძლიერების ან ისეთი გარემოს შექმნის ხელშეწყობას, რომელმაც, შესაძლოა, მომავალში გამოიწვიოს კონკრეტული ადამიანების თუ ჯგუფების უფლებების შეზღუდვა დისკრიმინაციული საფუძვლით.*

დისკრიმინაციასთან ეფექტიანად ბრძოლის თვალსაზრისით, ცალკეულ შემთხვევებში დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის პარალელურად, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ისეთი შემთხვევების გამოვლენას და პრევენციას, რომლებიც ხელს უწყობს და ახდენს დისკრიმინაციის წახალისებას. უფრო მეტიც, დისკრიმინაციის წახალისება, შესაძლოა, დისკრიმინაციის ცალკეულ ფაქტზე უფრო მეტი ზიანის მომტანი აღმოჩნდეს, ვინაიდან ხშირად დისკრიმინაციის წახალისების კონტექსტი სცდება კონკრეტულ შემთხვევას და მჭიდრო კავშირშია საზოგადოებაში დამკვიდრებულ მანკიერ სტერეოტიპებთან.

2.2. საკანონმდებლო მოწესრიგება და სახალხო დამცველის შეფასება

ადამიანის ღირსების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის პრინციპები, როგორც კონსტიტუციური წესრიგის ნაწილი, საყოველთაო და უნივერსალურია.[17]

სამართლის წინაშე თანასწორობის და დისკრიმინაციის აკრძალვის ფუნდამენტური პრინციპი გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტში, რომლის თანახმად, ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. კონსტიტუციის მე-11 მუხლი, როგორც თანასწორობის უზრუნველმყოფი ფუნდამენტური პრინციპი, მიემართება სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებათა ჭრილსაც, არ დაუშვას პირდაპირი თუ არაპირდაპირი დისკრიმინაცია, უთანასწორო მოპყრობის წახალისება, ხოლო ყოველი ასეთი ფაქტის გამოვლინებისას, განახორციელოს ეფექტური რეაგირება დისკრიმინაციის წახალისების თავიდან არიდების მიზნით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით[18] ხსენებული კონსტიტუციური დანაწესი ახდენს არა მხოლოდ თანასწორობის ფუნდამენტური უფლების რეგლამენტირებას, არამედ წარმოადგენს კონსტიტუციურ პრინციპს, რომელიც, მოიცავს ადამიანთა სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფას; აღნიშნული კი, ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის.

საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის დეფინიციით, ყველას აქვს საკუთარი ***პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.*** აღნიშნული კონსტიტუციური განსაზღვრება მოიცავს ადამიანის პიროვნული თვითგამორკვევისა და ავტონომიურობის აღიარებას და მისი პატივისცემის უფლებას.[19] ამავდროულად, *საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით*, პიროვნების ავტონომიურობა, მისი თავისუფალი განვითარება იცავს ინდივიდის ფიზიკური და სოციალური იდენტობის, ინტიმური ცხოვრების ხელშეუვალობის სფეროსაც. მოცემული კონსტიტუციური დანაწესი აღიარებს პირის თავისუფლებას, დაიცვას საკუთარი იდენტობა, ცხოვრების წესი და სტილი, ინდივიდუალური განვითარება და სხვა

პირებთან ურთიერთობა, საკუთარი მორალური, სოციალური, ინტელექტუალური და კანონით დაცული სხვა ინტერესები, ამავდროულად, დაიცვას საკუთარი პირადი/ინტიმური სფეროს ხელშეუვალობა.[20] აქვე რელევანტურია, რომ განსახილველი სამართლებრივი ინსტიტუტი ასევე განსაზღვრავს თვითგამოსახვის უფლებას, მათ შორის, მიემართება პირის ნებას, თავად გადაწყვიტოს, რა ასპექტში და კონტექსტში სურს საკუთარი თავის წარმოჩენა.[21]

პიროვნების თავისუფალი და თანასწორი განვითარების უფლებით სარგებლობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მედიის საქმიანობასთან ურთიერთმიმართებით, აღნიშნულ სფეროში სამართლებრივი ბალანსის დაცვის მიმართულებით, რაც სხვა საკითხებთან ერთად გულისხმობს მედია საშუალების წარმომადგენლის (ჟურნალისტი ან პირი, რომელიც ასრულებს ჟურნალისტურ საქმიანობას) მიერ ინდივიდის პირად სფეროსთან დაკავშირებული საკითხების პატივისცემის სფეროს.

დისკრიმინაციის წახალისების იდეას იმთავითვე უპირისპირდება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია და მისი მე-12 დამატებითი ოქმი, რომელთა ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ასევე ავითარებს თანასწორუფლებიანობის პრიმატულობის იდეას. ამავდროულად, ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის ფარგლებში, მიჩნეულია, რომ სიძულვილის ენის გამოყენების გზითა და ჰომოფობიის საფუძვლით, ინდივიდი ხშირად არასახარბიელო მოპყრობის ობიექტი ხდება, რაც ეროვნულ დონეზე, წევრ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის გააზრებით და მომეტებული ძალისხმევით უნდა დაიძლიოს.[22]

ამავდროულად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქმეში *ANIMAL DEFENDERS INTERNATIONAL v. THE UNITED KINGDOM* განმარტავს, რომ მედია საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია პირდაპირ მიმართებაშია ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან; მათ შორის, სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სწრაფ და ძლიერ ეფექტზე, რაც პირდაპირ აისახება მოსახლეობასა და საზოგადოების ფართო წრეზე.[23]

ევროპის საბჭოს რეკომენდაცია „სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ"[24] ადგენს სახელმწიფოთა მიერ სიძულვილის ენის აღმოფხვრის და პრევენციის მომეტებული ძალისხმევის აუცილებლობას. ამავდროულად, ***რეზოლუცია ყურადღებას ამახვილებს ამ მიმართულებით მედიისა და ჟურნალისტების უდიდეს როლზე, დემოკრატიული პროცესების წარმართვის ხელშეწყობის, საზოგადოებაში პოლარიზაციის შემცირებისა და სიძულვილის ენის გავრცელების თავიდან არიდების სფეროში.***[25]

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის განმარტებითი მემორანდუმით,[26] სიძულვილის ენის აღმოფხვრისა და გავრცელების პრევენციის მიმართულებით, უმნიშვნელოვანესია მედიის დანიშნულება. ვინაიდან, ***სიძულვილის ენა შესაძლოა გახდეს მოწყვლად ჯგუფთა მიმართ დამატებითი სტიგმატიზაციისა და საზოგადოებაში ფესვგადგმული სტერეოტიპების გაძლიერების საშუალება, მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალებებს ეკისრებათ უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, ხელი შეუწყონ სიძულვილის ენასთან ბრძოლის მექანიზმების დამკვიდრებას;*** *ამ მიმართულებით, ხაზგასმულია, მედია პოლიტიკის და მაუწყებელთა შიდა რეგულაციების, რეაგირებისა და პრევენციული მექანიზმების მნიშვნელობაზე.*[27]

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ" და „გ" ქვეპუნქტების თანახმად, დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ნებისმიერი დაწესებულება ვალდებულია, სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება მოახდინოს; ხოლო დისკრიმინაციული მოპყრობის დადასტურების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად პასუხისმგებლობა დააკისროს მის დაქვემდებარებაში მყოფ დამრღვევ პირს და უზრუნველყოს დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა მესამე პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეულახავად.

თანასწორუფლებიანობის განმტკიცება იმანენტურად უკავშირდება უთანასწორო მოპყრობის წამახალისებელ შემთხვევებზე არაეფექტიანი რეაგირების აღმოფხვრას. სხვა შემთხვევაში, წარმოიშვება ***„მსუსხავი ეფექტი"*** და დისკრიმინაციული მოპყრობის მავნე პრაქტიკის გავრცელების საფრთხე. დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის მიმართულებით, მომეტებულად რელევანტურია სამაუწყებლო სივრცეში ჰომოფობიისა და სიძულვილის ენის გამოვლინების შემთხვევებზე ყოველმხრივი რეაგირება.

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 35^1 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, იქმნება საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, რომელიც წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო ქონების საფუძველზე ტელერადიო მაუწყებლობისათვის შექმნილ, საჯარო დაფინანსებით მოქმედ, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის მიზანია პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის.[28] აქვე აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოზე ვრცელდება ამ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული შინაარსობრივი ვალდებულებები,[29] რომლებიც სხვა რელევანტურ ასპექტებთან ერთად მიემართება მედია სივრცის დამოუკიდებლობას, სამართლიანობასა და მიუკერძოებლობას. ამავდროულად, კანონმდებლის

განმტკიცებით, მედიამომსახურებისა და ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების სფეროებში საქმიანობის რეგულირება სწორედ გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების შესაბამისად უნდა წარიმართოს.[30]

დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე და ამ მიმართულებით დამაზიანებელი პრაქტიკების აღმოფხვრა მომეტებულად რელევანტურია სწორედ [აჭარის] საზოგადოებრივი მაუწყებლის სივრცეში, რომელსაც ფართო აუდიტორია ჰყავს და ამავდროულად, მისი სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, ეკისრება პასუხისმგებლობა მედიასამართლებრივი სუბიექტების უფლებათა დაცვის სფეროში. აღნიშნული, განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია ინდივიდის პირადი ცხოვრების ხელშეუვალობის უფლების რეალიზებისა და კანონით დაცულ უფლებათა შორის სამართლიანი ბალანსის უზრუნველყოფის მიზნით.

მედიასამართლის სფეროში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებათა[31] ფარგლებში, კანონმდებელმა მომეტებული ყურადღება გაამახვილა პირადი ცხოვრების პატივისცემისა და ხელშეუვალობის უფლების ნორმატიულ განმტკიცებაზე; კერძოდ, ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 54[1] მუხლის ფარგლებში, დამატებით აღინიშნა, რომ ***<u>დაუშვებელია მაუწყებლის მიერ ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუვალობის უფლების ხელყოფა;</u>*** ხოლო მსგავსი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, მაუწყებელს წარმოეშვება ვალდებულება, უზრუნველყოს სამართლიანი განხილვის პროცესი დაინტერესებული პირის კანონით დაცული უფლების აღსადგენად; ამავდროულად, ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ,,ე'' ქვეპუნქტის განსაზღვრებით, *<u>დაინტერესებული პირის</u>* დეფინიციაში ექცევა ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მედიამომსახურების ან ვიდეოგაზიარების პლათფორმის მომსახურების მიმწოდებლის საქმიანობა. **<u>ხსენებული საკანონმდებლო განმტკიცება მომეტებულად რელევანტურია დისკრიმინაციის წახალისებასთან ბრძოლისა და მისი შემდგომი გავრცელების არიდების მიმართულებით; აღნიშნული მიემართება მაუწყებლის ვალდებულებას, კიდევ უფრო მეტი ძალისხმევით ებრძოლოს დისკრიმინაციის წამახალისებელ თითოეულ შემთხვევას და ეფექტიანი რეაგირება ჰქონდეს კანონით დაცულ უფლებათა არამართლზომიერი ხელყოფის ყველა ფაქტზე.</u>**

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონიდან გამომდინარე, სამაუწყებლო სივრცეში მაუწყებელთა ქცევის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების დარღვევის **ყველა შესაძლო შემთხვევაზე** მაუწყებელს წარმოეშვება ეფექტიანი რეაგირების ვალდებულება; მათ შორის, მოწესრიგებულია დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვის საკითხი.[32]

,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსი,''[33] რომლის მიზანია ყველა სახის მაუწყებელი, მათ შორის, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, თანაბარი პასუხისმგებლობით მოეკიდოს პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვასა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას,[34] განამტკიცებს *<u>სამაუწყებლო პრინციპებს</u>*, რომელთაც განეკუთვნება სწორედ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემის უზრუნველყოფა, გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფა საზოგადოებრივ ინტერესსა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპებს შორის ბალანსის დაცვის საფუძველზე.[35] ამავდროულად, კოდექსი განამტკიცებს მაუწყებლის ვალდებულებას, განსახილველ საჩივრებთან მიმართებით, უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღება მიუკერძოებელი და სამართლიანი პროცედურის საფუძველზე და „<u>მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის</u> შესაბამისად წარმართოს განხილვის გამჭვირვალე პროცესი.[36]

მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხეზე ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ჩარჩო-პრინციპებიც,[37] რომელთა თანახმად, ***ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად.***[38] ამავდროულად, ქარტიის საბჭოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში,[39] მითითებულ იქნა, რომ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, მედია, შესაძლოა, მარტივად გახდეს სტერეოტიპების გაღრმავების ხელისშემწყობი, თუკი თითოეულ შემთხვევას სიფრთხილით არ მოეკიდება; ამავდროულად, საბჭომ მოცემულ საკითხზე მსჯელობისას, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ **უშუალოდ ჟურნალისტი, რომელიც იყო დისკრიმინაციის წამახალისებელი ფრაზების ავტორი**, მკაფიოდ არ გაემიჯნა დისკრიმინაციული შინაარსის გამონათქვამებს.[40]

ამასთან, *<u>ჟურნალისტის, როგორც მასობრივი ინფრასტრუქტურის სუბიექტის და მედია საშუალების წარმომადგენლის როლი უდიდესია ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობისა და სიძულვილის ენის აღმოფხვრის პროცესში;</u>*[41] *შესაბამისად, ჟურნალისტმა უნდა დაიცვას როგორც შესაბამისი ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული პრინციპები, პატივი სცეს მესამე პირთა პატივისა და ღირსების უფლებას, ასევე, არ მოახდინოს თვითნებური და დაუსაბუთებელი ჩარევა დაცულ სფეროში; ამავდროულად, ჟურნალისტმა არ უნდა მოუწოდოს საზოგადოებას ან/და მოსახლეობაში გაავრცელოს ისეთი ინფორმაცია, რაც მომავალში ხელს შეუწყობს საზოგადოებაში სიძულვილის ენის გაღვივებას ან/და ძალადობის პროვოცირებას კონკრეტული პირის/პირთა ჯგუფის მიმართ; <u>როგორც მედიასაშუალებებს, ისე ჟურნალისტებს მოეთხოვებათ, ხელი შეუწყონ დისკრიმინაციის წამახალისებელი, სტერეოტიპების, სტიგმატიზებისა და ამ მხრივ მავნე პრაქტიკების აღმოფხვრასა და ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების პოპულარიზაციას, დაცულ ჯგუფთა მიმართ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას.</u>*[42] –დამატებით, აღსანიშნია, რომ გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში დაცული კრიტიკა, თუნდაც

რადიკალური, პოლემიკური ან აგრესიული ხასიათის იყოს, არ უნდა ატარებდეს კონკრეტულ პირთა მიმართ ჰომოფობიურ ან/და ცილისმწამებლურ ხასიათს.

მედიასამართლის ფუნდამენტური პრინციპების შესაბამისად, სამაუწყებლო სივრცეში *მედიასამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტთა კანონიერი ინტერესების დაცვა უაღრესად რელევანტურია.* ამავდროულად, განხილულ შემთხვევაში, **მედიასამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს** წარმოადგენენ ***ა) მოსახლეობა***, როგორც ინფორმაციის მიმღები, რომელზეც აისახება მედია საშუალების მიერ გავრცელებული ინფორმაციის ეფექტი ***ბ) დაინტერესებული პირი***, როგორც მედია სივრცის ურთიერთობის მონაწილე ან/და რომელსაც მიემართება მედიასაშუალების მიერ გავრცელებული ინფორმაცია ***გ) ჟურნალისტი***/სხვა პირი, რომელიც წარმოადგენს მედია საშუალებას.

ზემოთ განხილული სამართლებრივი რეგულაციებისა და მედიასამართლებრივ ურთიერთობათა პრაქტიკების გათვალისწინებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას და რადიოს, როგორც სახელმწიფო ქონების საფუძველზე ტელერადიო მაუწყებლობისთვის შექმნილ ორგანოს, რომლის სამაუწყებლო სივრცეში გადაცემული ინფორმაცია აისახება/ვრცელდება მოსახლეობის ფართო წრეებზე, **აქვს მომეტებული პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს ეფექტიანი და ყოველმხრივი ღონისძიებების გატარება სამაუწყებლო სივრცეში ჰომოფობიისა და დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემოს დასამკვიდრებლად; ხოლო მსგავსი შემთხვევის გამოვლენის პასუხად, მაუწყებელმა უნდა გამოიყენოს ყველა აუცილებელი სამართლებრივი მექანიზმი როგორც უფლებადარღვეული პირის კანონით დაცულ უფლებათა აღსადგენად, ისე, მოსახლეობის, როგორც მედიასამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის კანონიერი ინტერესის დასაცავად. აღნიშნული მომეტებულად მნიშვნელოვანია, დისკრიმინაციული პრაქტიკების წახალისების და გავრცელების თავიდან არიდებისთვის.**

მოცემულ საქმეში, ***დაინტერესებული პირის,*** [redacted] ***ს კანონიერ ინტერსს*** წარმოადგენდა, დაეცვა თავისი პატივი და ღირსება, რისთვისაც, მაუწყებლის მხრიდან ითხოვდა უფლების აღდგენისთვის საჭირო ქმედითი და ეფექტური რეაგირების განხორციელებას, მათ შორის, კონკრეტულ ჟურნალისტთან მიმართებით, რომელმაც პირდაპირ ეთერში, საზოგადოების ფართო აუდიტორიის წინაშე გაავრცელა მის მიმართ დისკრიმინაციის წამახალისებელი/ჰომოფობიური შინაარსის მოსაზრება.

არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, განხილულ საქმეში, კონკრეტული პირის მიმართ ჰომოფობიური მიმართვის გამოყენება წარმოადგენს პირის პატივისა და ღირსების შემლახავ ქმედებას, ხელყოფს ინდივიდის პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას, ამავდროულად, აქვს ***დამაზიანებელი ეფექტი*** როგორც ***უშუალოდ იმ პირთან მიმართებით, რომლის კანონიერი ინტერესის ხელყოფაც მოხდა,*** ასევე ***მოსახლეობის ფართო წრეებთან მიმართებით, რომლებიც ასევე წარმოადგენენ მედიასამართლის სუბიექტებს.***

მოცემულ შემთხვევაში, **მხარეები ეთანხმებიან პოზიციას,** რომ სამაუწყებლო ეთერში ჟურნალისტის მიერ გაჟღერებული განცხადება/ფრაზა ატარებდა ჰომოფობიურ შინაარსს და იყო დისკრიმინაციული ხასიათის. ასევე, მაუწყებელი გაემიჯნა ჟურნალისტის მიერ პირდაპირ ეთერში გაჟღერებულ დისკრიმინაციულ/ ჰომოფობიურ მოსაზრებას;

სახალხო დამცველის შეფასებით, მისასალმებელია, რომ მაუწყებელმა ოფიციალური განცხადების გავრცელების ფორმით, მოსახლეობის მიმართ ბოდიში მოიხადა; თუმცა, ამავდროულად, მიუხედავად განმცხადებლის წარდგენილი მოთხოვნისა, უშუალოდ დაინტერესებული/უფლებახელყოფილი პირის კანონიერი ინტერესის აღსადგენად მაუწყებლის მხრიდან სრულყოფილი სამართლებრივი რეაგირება არ განხორციელებულა.

განხილულ საქმეში, მაუწყებლის მიერ წერილობითი ფორმით გავრცელებული განცხადება „ბოდიშის მოხდასთან" დაკავშირებით მართალია მიემართებოდა მოსახლეობას/საზოგადოებას, როგორც მედია სამართლის ერთ-ერთ სუბიექტს; ამასთან, აღნიშნული რელევანტურია იმ ასპექტშიც, რომ მედიასაშუალების მიერ მოსახლეობის ფართო სპექტრისთვის მიწოდებული ინფორმაციის ეფექტი სამომავლო ასახვას ჰპოვებს საზოგადოებაში მავნე სტერეოტიპებთან ბრძოლისა და ტოლერანტული გარემოს დამკვიდრების თვალსაზრისით; თუმცა, ამავდროულად, მაუწყებლის მიერ საჯაროდ გავრცელებული „ბოდიში'' არ მიემართებოდა უშუალოდ უფლებადარღვეულ პირს, [redacted]***, რომელიც გახდა ჰომოფობიური შინაარსის მატარებელი ფრაზის პირდაპირი ადრესატი. აქვე, მნიშვნელოვანია, რომ მაუწყებელმა სამართლებრივი წარმოების ფარგლებში არ იმსჯელა, სხვა რა კონკრეტული ქმედითი მექანიზმითა და სამართლებრივი დაცვის საშუალებით უნდა მომხდარიყო დაინტერესებული პირის,*** [redacted] ***უფლებათა აღდგენა.***

ყოველივეს გათვალისწინებით, ჰომოფობიური გამონათქვამის გავრცელებაზე მაუწყებლის მხრიდან კონკრეტული პირის მიმართ არ იქნა გამოყენებული უფლებათა დაცვის თანაზომადი საშუალება დაინტერესებული პირის კანონით დაცულ უფლებათა რეალიზებისთვის, რაც სამომავლოდ ზრდის დისკრიმინაციის წამახალისებელი პრაქტიკების გავრცელების საფრთხეს.

დამატებით, მართალია, მაუწყებელი მიუთითებს, რომ უზრუნველყო ***თანამშრომელთა ინფორმირებულობის გაზრდა, მომავალში მსგავსი შემთხვევების პრევენციის მიზნით,*** თუმცა, ბუნდოვანია, კონკრეტულად, რა სახის მექანიზმები გამოიყენა უშუალოდ ჟურნალისტის მიმართ, ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების შესაძლო დარღვევის, მათ შორის, დისკრიმინაციული მოპყრობის შემდგომი პრევენციისა

და თანასწორუფლებიანობის განმტკიცების მიმართულებით. ამავდროულად, აპარატს, მიმართვის მიუხედავად, არ წარდგენია დაზუსტებული ინფორმაცია რა კონკრეტული პრევენციული ღონისძიებები გაატარა მაუწყებელმა ხსენებული ჟურნალისტის/სხვა *თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების*, ასევე, *მაუწყებლის საქმიანობის პროცესში* დისკრიმინაციის წამახალისებელი შემთხვევების შემდგომი პრევენციის მიზნით.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, პირმა საქართველოს სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა, რაც მოიცავს საქმის განხილვასთან დაკავშირებული მასალის, საბუთის, ახსნა-განმარტებისა და სხვა ინფორმაციის სახალხო დამცველისათვის მიწოდების ვალდებულებას.[43] განხილულ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტის შესაბამისად, სახალხო დამცველის მოთხოვნის მიუხედავად, კონკრეტული ჟურნალისტის ახსნა-განმარტება შესაძლო დისკრიმინაციის წახალისების საკითხზე, სახალხო დამცველის აპარატს არ წარდგენია.

3. დასკვნა

სახალხო დამცველის შეფასებით, თანასწორუფლებიანობის იდეა და მისი პრაქტიკული გამყარება იმანენტურად უკავშირდება დისკრიმინაციის წამახალისებელ შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირების აუცილებლობას. სხვა შემთხვევაში, წარმოიქმნება საფრთხე, როცა დისკრიმინაციის წამახალისებელი პრაქტიკები, განსაკუთრებით, სამაუწყებლო სივრცეში, რომელსაც ფართო აუდიტორია ჰყავს და რომლის მიმართაც არსებობს მომეტებული საჯარო ინტერესი, კიდევ უფრო გავრცელდეს. შესაბამისად, მაუწყებელს, როგორც მედიასამართლებრივი ურთიერთობის წყაროს, წარმოეშვება მომეტებული ვალდებულება, უზრუნველყოს თანასწორობის ფუნდამენტური პრინციპის შესატყვისი სივრცე.

სახალხო დამცველი ხაზს უსვამს მედიის როლს ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და დემოკრატიულ ღირებულებათა განმტკიცების პროცესში და აღნიშნავს, რომ მედიასაშუალების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, როგორც მედიასამართლის ობიექტი, ექცევა იმ სამართლებრივ ნორმათა დაცვის ჭრილში, რომელთა გათვალისწინების გარეშეც ინფორმაციის გამავრცელებელი, ანუ მედიასამართლის სუბიექტი, დაარღვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ქცევის ზოგად წესს.

საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ქვეყანაში ჰომოფობიური და სიძულვილის ენის შემცველი მავნე პრაქტიკების აღმოფხვრისა და მასთან ბრძოლის საკითხების მნიშვნელობაზე; ხაზს უსვამს ამ მიმართულებით ეფექტიანი, დროული და შედეგზე ორიენტირებული პრევენციული მექანიზმების განხორციელების საჭიროებას.

ხსენებულ საქმეში სახალხო დამცველის მიერ განხილული საერთაშორისო სტანდარტები და ეროვნული საკანონმდებლო სივრცე ნათლად წარმოაჩენს საზოგადოებაში ფესვგადგმულ სტერეოტიპებთან ბრძოლაში მაუწყებელთა, განსაკუთრებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს, მისი სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, ***მომატებულ როლსა და ფუნქციას, უზრუნველყოს ანტი-დისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან თავიანთი საქმიანობის სრული შესაბამისობა და ამ მიმართულებით ყველა საჭირო მექანიზმის გამოყენება.***

ამავდროულად, ანტი-დისკრიმინაციული სამართლის ეფექტურად აღსრულების მიზნით, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ფარგლებში, უფლებათა დაცვის სტანდარტების განვითარებასთან ერთად უმნიშვნელოვანესია მაუწყებელთა შიდა ნორმატიული რეგულაციებისა და პრაქტიკის ადაპტირება ახალ რეალობასა და გამოწვევებთან; ყოველივე ეხმარება მედია სუბიექტებს თავიანთი საქმიანობა წარმართონ ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტებით.

განხილულ საქმეში, ფაქტებისა და სამართლებრივი ნორმათა შეჯერების შედეგად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მაუწყებელს ჰქონდა ვალდებულება, ეთიკური და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, **სამაუწყებლო ეთერში უზრუნველეყო დისკრიმინაციის წახალისებისგან თავისუფალი გარემო, ხოლო სიძულვილის ენის გამოვლინების შემთხვევაზე პასუხად,** გამოეყენებინა კანონშესაბამისი, დროული და სრულყოფილი მექანიზმები, როგორც დაინტერესებული პირის უფლებათა დაცვისა და აღდგენის მიზნით, ისე, ჰომოფობიური სიძულვილის ენის გავრცელების თავიდან არიდების უზრუნველსაყოფად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს „სახალხო დამცველი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის მე-14[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ზოგადი წინადადებით მიმართავს:

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას და რადიოს"

- სამომავლოდ განახორციელოთ კანონშესაბამისი, სრულყოფილი და მიუკერძოებელი სამართლებრივი მოკვლევა სამაუწყებლო სივრცეში ჰომოფობიური შინაარსის და სიძულვილის ენის

შემცველი მოსაზრების გავრცელების ყველა შემთხვევაზე;
- თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, განახორციელოთ ეფექტიანი აქტივობები თანასწორუფლებიანობის შესახებ და სიძულვილის ენის პრევენციის საკითხებზე.

ასევე.ჟურნალისტ.[redacted]

- მომავალში არ გამოიყენოს სიძულვილის შემცველი, დამამცირებელი ან/და ჰომოფობიური გამონათქვამები.

ამავდროულად, საქართველოს სახალხო დამცველი, როგორც თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის მექანიზმი, გამოთქვამს მზადყოფნას, უზრუნველყოს მაუწყებლის თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების აქტივობებში აქტიური ჩართულობა.

გთხოვთ, თქვენს მიერ გატარებული ღონისძიების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის თანახმად.

პატივისცემით,

---

[1] ა(ა)იპ ,,თანასწორობის მოძრაობის'' 2025 წლის 23 იანვრის განცხადება N692/25.

[2] ინფორმაცია ხელმისაწვდომია [redacted] [ბოლოს ნანახია: 02.07.2025].

[3] [redacted] მიერ სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას და რადიოსადმი'' წარდგენილი დაზუსტებული საჩივარი N02-11/12, 24.01.2025.

[4]ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3TlnYqB [ბოლოს ნანახია: 02.07.2025]

[5]სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს“ 2025 წლის 17 თებერვლის კორესპონდენცია N1705/25.

[6]წინამდებარე წინადადების ფარგლებში, ,,მოპასუხის'' განმარტებაში იგულისხმება სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიო“.

[7]აღნიშნულ შემთხვევას მოპასუხე წერილობით წარმოდგენილი კორესპონდენციის ფარგლებში, უწოდებს ,,ინციდენტს''.

[8]ა(ა)იპ ,,თანასწორობის მოძრაობის'' 2025 წლის 4 მარტის N2146/25 დამატებითი განცხადება.

[9]საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 5 თებერვლის N25/1107 წერილი.

[10]სიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს“ 2025 წლის 17 თებერვლის კორესპონდენცია N1705/25.

[11]სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს“ 2025 წლის 15 მარტის კორესპონდენცია N2546/25.

[12]იქვე.

[13] ა(ა)იპ ,,თანასწორობის მოძრაობის'' 2025 წლის 4 მარტის N2146/25 დამატებითი განცხადება.

[14]სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს“ 2025 წლის 17 თებერვლის კორესპონდენცია N1705/25.

[15] ა(ა)იპ ,,თანასწორობის მოძრაობის'' 2025 წლის 4 მარტის N2146/25 დამატებითი განცხადება.

[16] ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტი.

[17] Arnold R., ,,L'État de droit comme fondement du constitutionnalisme européen'', 2014, 769-776, ხელმისაწვდომია ბმულაზე: https://droit.cairn.info/revue-francaise-de-droit-constitutionnel-2014-4-page-769?lang=fr [ბოლოს ნანახია: 02.07.2025].

[18] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 14 ივნისის N2/2/1344 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ’’, პარა. 1.2.

[19] ხსენებული უფლებით დაცულ სფეროზე დამატებით იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის № 1/2/458 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები: ალექსანდრე მაჭარაშვილი და დავით სართანია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ’’.

[20]იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ’’, № 2/1/536, 4 თებერვალი, 2014, პარა. 56.

[21] ჯორბენაძე ს., ბახტაძე უ., მაჭარაძე ზ., „მედიასამართალი’’, 2014, გვ. 68.

[22] Johnson, Paul, Homophobic Hate Speech and Article 17 ECHR: The Evolving Approach of the European Court of Human Rights (April 20, 2024). ხელმისაწვდომია ბმულზე: https://ssrn.com/abstract=4801753 [ბოლოს ნანახია: 04.06.2025]

[23] CASE OF ANIMAL DEFENDERS INTERNATIONAL v. THE UNITED KINGDOM, N48876/08, პარა. 119.

[24] Council of Europe, Recommendation CM/Rec(2022)16 of the Committee of Ministers to member States on combating hate speech, პარა. 38-42.
ხელმისაწვდომია ბმულზე: https://search.coe.int/cm?i=0900001680a67955 [ბოლოს ნანახია: 16.06.2025]

[25] იქვე. Recommendations addressed to key actors, Media, პარა. 38-42.

[26] Explanatory Memorandum CM(2022)43 on Recommendation CM/Rec(2022)16 of the Committee of Ministers to member States on combating hate speech; Steering Committee on Anti-Discrimination, Diversity and Inclusion (CDADI) and Steering Committee on Media and Information Society (CDMSI). ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://search.coe.int/cm?i=0900001680a6891e [ბოლოს ნანახია: 16.06.2025]

[27] იქვე. პარა. 2, 4, 10.

[28] „მაუწყებლობის შესახებ’’ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჰ’’ ქვეპუნქტი.

[29] იქვე, 35^1 მუხლის მე-2 პუნქტი.

[30] იქვე, პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

[31] საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე #394-IIმს-XIმპ, 01.04.2025.

[32] „მაუწყებლობის შესახებ’’ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი.

[33] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილება „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის’’ დამტკიცების თაობაზე.

[34] იქვე, მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

[35] იქვე, მე-3 მუხლის „გ’’ ქვეპუნქტი.

[36] იქვე, მე-9 მუხლის პირველი პუნქტი.

[37] ა(ა)იპ „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის’’ მიერ დამტკიცებული პრინციპების დოკუმენტი. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula [ბოლოს ნანახია: 16.06.2025]

[38] იქვე, მე-7 პრინციპი.

[39] ა(ა)იპ „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის’’ 2024 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო” POSTV-ის ჟურნალისტის გურანდა ბილიხოძის წინააღმდეგ’’. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.qartia.ge/en/statements?view=attributes&ids=1968 [ბოლოს ნანახია: 12.06.2025].

[40] იქვე.

[41] Explanatory Memorandum CM(2022)43 on Recommendation CM/Rec(2022)16 of the Committee of Ministers to member States on combating hate speech; Steering Committee on Anti-Discrimination, Diversity and Inclusion (CDADI) and Steering Committee on Media and Information Society (CDMSI); პარა. 158, 161. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://search.coe.int/cm?i=0900001680a6891e [ბოლოს ნანახია: 16.06.2025]

[42] იქვე. პარა. 162, 163.

[43] ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი